ადგილობრივი ბიუჯეტის მონიტორინგის და გენდერული ანალიზის გზამკვლევი

მეთოდური სახელმძღვანელო

კულტურულ-ჰუმანიტარული
ფონდი „სოხუმი“

ადგილობრივი ბიუჯეტის მონიტორინგის და გენდერული ანალიზის გზამკვლევი

მეთოდური სახელმძღვანელო

ქუთაისი 2015

სარჩევი

1. წინასიტყვაობა	4
2. ძირითადი ცნებები გენდერის და გენდერული ბიუჯეტის შესახებ	6
3. ადგილობრივი ბიუჯეტის გენდერული ანალიზი (მუნიციპალური ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილის ექსპრეს-ანალიზი გენდერულ ჭრილში; მუნიციპალური ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ექსპრეს-ანალიზი გენდერულ ჭრილში)	8
4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გენდერული ანალიზის დროს გამოვლენილი ნაკლოვანებებისა და ხარვეზების განზოგადება და ნუსხის შედგენა, მისი გამოქვეყნება, გონივრული წინადადებების შეგროვება	10
5. მუნიციპალური ბიუჯეტის გენდერული ანალიზის შედეგების გამოტანა / განხილვა გენდერულ საბჭოზე, მისი გენდერული მგრძნობელობის შეფასება და, მოსახლეობიდან შემოსული წინადადებების გათვალისწინებით, შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება	11
6. მასმედიისა და საზოგადოების პერიოდული ინფორმირება მუნიციპალური ბიუჯეტის გენდერული ანალიზის და შეფასების შედეგების შესახებ	14
7. ადგილობრივ ბიუჯეტში საზოგადოების მიერ შემოთავაზებული, გენდერული ასპექტების ამსახველი რეკომენდაციების გათვალისწინების ლობირება გენდერული საბჭოს მიერ	15
8. მაგალითის განხილვა: გენდერული ასპექტების ანალიზი ქ. ქუთაისის ეკონომიკის სფეროში	18

1. წინასიტყვაობა

მუნიციპალური ბიუჯეტის მონიტორინგის, ანალიზის და გენდერულობის შეფასების მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო (გზამკვლევი) შემუშავებულია ქალთა ფონდი „სოხუმის“ მიერ; განხილულია და მოწონებულია (დამტკიცებულია) ქუთაისის გენდერული საბჭოს სხდომაზე 2015 წელს. ის წარმოადგენს სარეკომენდაციო ხასიათის სახელმძღვანელო დოკუმენტს, რომელიც შეიძლება, გამოყენებული იქნას გენდერული საბჭოების მიერ, ასევე სხვადასხვა საზოგადოებრივი გაერთიანების, ორგანიზაციის, ან დაინტერესებული საინიციატივო ჯგუფის მიერ მუნიციპალური ბიუჯეტის გენდერულ ჭრილში გაანალიზებისთვის, მისი გენდერულობის შეფასებისთვის.

მისასალმებელი იქნება, თუ მას ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები (მერია, საკრებულო) გამოიყენებენ მათ მიერ შემუშავებული ბიუჯეტის პროექტის, ან უკვე მიღებული და შესრულებული ბიუჯეტის გენდერულობის შეფასებისთვის.

საზოგადოება უფლებამოსილია განახორციელოს თავის რაიონში, ქალაქში, რეგიონში, ქვეყანაში მიღებული, როგორც ადგილობრივი, ისე ეროვნული დონის ბიუჯეტების და მათი ცალკეული მუხლების მონიტორინგი. ეს უფლება გამომდინარეობს შემდეგი საერთაშორისო და ეროვნული სამართლებრივი ნორმებიდან, აქტებიდან ან მათთან გათანაბრებული დოკუმენტებიდან:

1. საქართველოს კონსტიტუცია, თავი II, მუხლი 24;
2. საქართველოს ევროკავშირთან ასოცირებული წევრობის შესახებ შეთანხმება, 17 ივლისი, 2014 წ.;
3. საქართველოს კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ“ (26 მარტი, 2010 წ);

4. დეკლარაცია ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის შესახებ, მუხლი 1, გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეა, 23 თებერვალი, 1994 წელი A / RES / 48 / 104.
5. კონვენცია ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, მუხლი 2.
6. საქართველოს კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, 12 მაისი, 2014 წ.

საქართველოს სამოქალაქო საზოგადოება ბოლო დროს საკმაოდ გააქტიურდა. გაძლიერდა მათი ინტერესი ისეთი საკითხების მიმართ, როგორიცაა გენდერული ბალანსი, გენდერული ბიუჯეტი და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ ძალიან მწირია გენდერული ბიუჯეტის ანალიზთან დაკავშირებული, საზოგადოების ფართო ფენებისთვის ხელმისაწვდომი, პრაქტიკაში ადვილად გამოყენებადი მეთოდოლოგიური ლიტერატურა, სახელმძღვანელოები, რათა მათი მეშვეობით ობიეტურად შეფასდეს არსებული მდგომარეობა და საზოგადოებას მიეწოდოს სწორი, ობიექტური ინფორმაცია.

სწორედ აღნიშნული ნაკლის ოდნავ მაინც შევსებას ემსახურება ჩვენი მცდელობა, შეიქმნას გზამკვლევის ტიპის მოკლე მეთოდური სახელმძღვანელო (მოხარული ვიქნებით, თუ მკითხველები შემოგვთავაზებენ თავიანთ შენიშვნებს და წინადადებებს. ისინი გათვალისწინებული იქნება სახელმძღვანელოს შემდგომ გამოცემაში).

სახელმძღვანელო მომზადდა ფონდი „სოხუმის“ პროექტის „გენდერული საკონსულტაციო საბჭოები - ქალთა როლის ამაღლება რეგიონებში სოციალური ცვლილებებისთვის“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება UN Women-ის მხარდაჭერით.

2. ძირითადი ცნებები გენდერის და გენდერული ბიუჯეტის შესახებ

ამ თავში მოყვანილია იმ ტერმინებისა და კატეგორიების მოკლე განმარტება, რომელსაც შევხვდებით მოცემულ მეთოდოლოგიურ სახელმძღვანელოში.

- **გენდერი** ასახავს ქალებსა და კაცებს შორის ბიოლოგიურ, სოციალურ და კულტურულ განსხვავებებს, ცხოვრებისა და საქმიანობის სხვადასხვა სფეროებში როლების განაწილებას. ეს კი ხშირად შორს არის გონივრული, სამართლიანი თანასწორობისგან და დისკრიმინაციულია რომელიმე სქესის წარმომადგენელისათვის.

- **გენდერული თანასწორობა** (ბალანსი), ისეთი მდგომარეობაა, რომელიც სქესობრივი ნიშნით არ ზღუდავს ქალს და კაცს და როდესაც საზოგადოება მიემართება არადისკრიმინაციული, ჰარმონიული თანაარსებობისკენ.

- **გენდერული ბიუჯეტი,** იგივე გენდერულად მგრძნობიარე, ან - გენდერულად ორიენტირებული ბიუჯეტი (რაც ერთი და იგივეა), არის დოკუმენტი, რომელშიც დაბალანსებულია სხვადასხვა სოციალურ-სქესობრივი ჯგუფის წარმომადგენელთა მოთხოვნილებები და ინტერესები.

- **გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტი** არ ნიშნავს ცალ-ცალკე ბიუჯეტს ქალებისა და კაცებისათვის, სადაც თითოეულ მათგანზე თანხები თანაბრადაა განაწილებული, პირიქით, ის უზრუნველყოფს გენდერული ცნობიერების დამკვიდრებას, გენდერული პრინციპების გატარებას, საზოგადოებაში არსებული სხვადასხვა პრიორიტეტების, საჭიროებების სამართლიანად გათვალისწინებას ბიუჯეტის შესაბამის მუხლებში შემოსავლებისა და ხარჯების დაგეგმვისას.

ხშირად 50/50-ზე განაწილებული ბიუჯეტიც კი შეიძლება, არ იყოს სამართლიანი. მაგალითად, ჯანდაცვის სფეროში, ქალის რეპროდუქციული უნარი მისი ჯანმრთელობისათვის დამატებითი ხარჯების გაწევას მოითხოვს. ამასთან, გათვალისწინებული არ არის აუნაზღაურებელი შრომის წილი, რომელსაც საზოგადოებაში ქალები ასრულებენ (მაგ. საოჯახო საქმე, ზრუნვა შვილებსა და ოჯახის სხვა წევრებზე, განსაკუთრებით, მათი ავადმყოფობის შემთხვევაში), რაც ხაზს უსვამს გენდერულ უთანასწორობას.

- ბიუჯეტი წარმოდგება ინგლისური სიტყვიდან, რომელიც ნიშნავს ჩანთას, ტყავის ტომარას. სახელმწიფო ბიუჯეტი ქვეყნის ფულადი სახსრების ფონდია, რომელიც იქმნება სახელმწიფო ხარჯების დასაფარავად. ეს არის სახელმწიფო შემოსავლებისა და ხარჯების გაწერის ფორმა (ნუსხა, ბალანსი). იგი გამოიყენება ასევე მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

ადგილობრივი ბიუჯეტის გენდერული ანალიზისა და გენდერული მგრძნობიარობის შეფასებისას, გასათვალისწინებელია 2000 წლის სექტემბერში მიღებული, გაეროს ათასწლეულის დეკლარაციაში დასახული რვა მიზანი:

1. უკიდურესი სიღარიბისა და შიმშილის აღმოფხვრა;
2. საყოველთაო პირველადი განათლების მიღწევა;
3. ქალთა და კაცთა გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა და ქალთა უფლებებისა და შესაძლებლობების გაძლიერება;
4. ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება;
5. დედათა ჯანმრთელობის გაუმჯობესება;
6. შიდსის, მალარიისა და სხვა დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლა;

7. მდგრადი ეკოლოგიური გარემოს დაცვა;
8. განვითარებისთვის გლობალური პარტნიორობის გაღრმავება.

როგორც ვხედავთ, რვა მიზნიდან, ოთხი უშუალოდ ეხება გენდერულად მგრძნობიარე თემებს.

3. ადგილობრივი ბიუჯეტის გენდერული ანალიზი

(მუნიციპალური ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილის ექსპრეს-ანალიზი გენდერულ ჭრილში მუნიციპალური ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ექსპრეს-ანალიზი გენდერულ ჭრილში)

ადგილობრივი ბიუჯეტების გენდერულობის მონიტორინგისა და შეფასების საერთაშორისო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ეს სამუშაოები, სასურველია, ჩატარდეს ცალკე საშემოსავლო და ცალკე ხარჯვითი ნაწილებისათვის. ასეთი მიდგომა უფრო სრულყოფილ სურათს იძლევა. თუმცა, პრაქტიკაში ხშირად ბიუჯეტების გენდერული ასპექტების მონიტორინგი და შეფასება ერთიანადაც კეთდება.

წინამდებარე მეთოდოლოგიაში შემოთავაზებულია მუნიციპალური ბიუჯეტების საშემოსავლო და ხარჯვითი ნაწილების ერთიანი გამარტივებული ექსპრეს-ანალიზი ფოკუს-ჯგუფების ჩატარების გზით. ამისთვის რეკომენდებულია აღნიშნულ საკითხებში კარგად ინფორმირებული, საზოგადოების სხვადასხვა ფენების და ტერიტორიული ერთეულების (ქალაქის სხვადასხვა უბნის) კომპეტენტურ წარმომადგენელთა შერჩევა ორი ჯგუფისთვის, თითოეულში 10-11 ადამიანის შემადგენლობით და ამ ჯგუფების დამოუკიდებელი მუშაობის ორგანიზება.

ფოკუს-ჯგუფების წევრები წინასწარ გაეცნობიან წი-

ნამდებარე მეთოდოლოგიას, ფოკუს-ჯგუფების ჩატარების წესებს, კარგად შეისწავლიან სამიზნე მუნიციპალიტის ბიუჯეტს, ქალაქის/რაიონის სტატისტიკურ და ინფორმაციულ ბაზას. ამის შემდეგ, საგულდაგულოდ შერჩეული, კარგად მომზადებული მოდერატორების ფასილიტაციით ჩატარდება ორი ფოკუს-ჯგუფი. მიღებული მასალების გამოყენებით დაიწერება ორი ანგარიში, ერთი - ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე, ხოლო მეორე - ხარჯვითზე. შემდგომ, რეკომენდებულია ანგარიშების გაცვლა და ორი ალტერნატიული საერთო ანგარიშის მომზადება. ამ ანგარიშებში უნდა აისახოს, რამდენად არის მუნიციპალური ბიუჯეტი გენდერულად მგრძნობიარე; რა გენდერული ასპექტებია ბიუჯეტში ასახული და რა არა (ანუ გენდერულობის თვალსაზრისით რა ხარვეზები იქნა გამოვლენილი ბიუჯეტის ანალიზის დროს).

მუნიციპალური ბიუჯეტის გენდერული ანალიზისას გასათვალისწინებელია:

- ✓ რა პროირიტეტებია დასახული საბიუჯეტო წელს, რამდენად გენდერულია ისინი და უზრუნველყოფილია თუ არა საკმარისი რესურსებით;
- ✓ რამდენად არის მუნიციპალიტეტის მიერ დაგეგმილი საქმიანობა გენდერულად მგრძნობიარე ისეთი კონკრეტული მიმართულებებით, როგორიცაა:

- ქალაქში/რაიონში უმუშევრობისა და სიღარიბის შემცირება (რამდენია ქალაქში სამუშაოს მაძიებელი კაცი, ქალი)
- ქალების (განსაკუთრებით დედების), სხვა ფენების ჯანმრთელობის დაცვის საკითხები. რამდენი ქალი, კაცი, ბავშვი, მოხუცი ვერ მიიღებს დახმარებას მუნიციპალიტეტის ჯანდაცვის პროგრამიდან;
- პროფესიული განათლების და კვალიფიკაციის ამაღლების გარეშე დარჩენილი ახალგაზრდების რაოდენობა, მათ შორის გოგონები, ბიჭები/კაცები, ქალები;

- მუნიციპალიტეტის მზრუნველობის მიღმა დარჩენილი ხანდაზმული ქალი და კაცი;
- რამდენად იზრდება საპენსიო ფონდი წინა წელთან შედარებით;
- რა მექანიზმებს იყენებს მუნიციპალიტეტი ქალებსა და კაცებს შორის სამართლიანი თანასწორობის წასახალისებლად;
- კერძო ბიზნესში და საჯარო სამსახურებში მომუშავე ადამიანების რიცხვი, მათი ხელფასების ფონდი გენდერულ ჭრილში;
- მოთხოვნილებები სკოლამდელ დაწესებულებებზე (საბავშვო ბაღებზე) და დაუკმაყოფილებელი ოჯახების დასახმარებლად დაგეგმილი ღონისძიებები (რა %-ს წარმოადგენს ეს ნაწილი. რამდენი ქალი ვერ იწყებს მუშაობას ამ მიზეზით).

ასეთივე მიდგომებით გაანალიზდება თვითმმართველობისა და სამოქალაქო საზოგადოებისთვის საინტერესო სხვა მიმართულებები.

4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გენდერული ანალიზის დროს გამოვლენილი ნაკლოვანებებისა და ხარვეზების განზოგადება და ნუსხის შედგენა, მისი გამოქვეყნება, გონივრული წინადადებების შეგროვება

მუნიციპალური ბიუჯეტის მონიტორინგის დროს გამოვლენილი შენიშვნები, ნაკლოვანებები და ხარვეზები აუცილებლად ფიქსირდება, ლაკონურად ჩამოყალიბდება მათი ნუსხა და შემდგომში მოხდება მისი გამოქვეყნება, რათა ხელმისაწვდომი გახდეს მოსახლეობის ფართო ფენების-

თვის, ყველა დაინტერესებული ადამიანისთვის. მუნიციპალური ბიუჯეტის მონიტორინგისას გამოვლენილი ნაკლოვანებების შესახებ მოსახლეობისთვის ინფორმაციის მიწოდება გამოიწვევს მისი დიდი ნაწილის გააქტიურებას, მათ გამოხმაურებებს. გენდერულ საბჭოში წამოვა კითხვები, რეპლიკები, წინადადებები, რომლებიც უნდა დაფიქსირდეს სპეციალურ წიგნში (ჟურნალში) და კარგად დამუშავდეს.

განსაკუთრებით უნდა გამოიყოს და გაანალიზდეს გენდერული დისბალანსის მკაფიოდ გამომხატველი ინფორმაცია და მასზე დაყრდნობით მომზადდეს რეკომენდაციები, უპირველესად, გენდერულ საბჭოზე განსახილველად. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ინოვაციურ, გენდერულად მგრძნობიარე წინადადებებსა და რეკომენდაციებს. მაგალითად, ინგლისში სამოქალაქო სექტორმა მასმედიასთან ერთად მიაღწია ხელისუფლების მიერ ბავშვიანი მომუშავე ქალების ხელფასების (შემოსავლების) დაბეგვრისგან განთავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების მიღებას. მსგავსი ინიციატივის რეალიზება საქართველოში ბევრი გენდერული საკითხის გადაწყვეტას შეუწყობს ხელს.

5. მუნიციპალური ბიუჯეტის გენდერული ანალიზის შედეგების გამოტანა / განხილვა გენდერულ საბჭოზე, მისი გენდერული მგრძნობელობის შეფასება და, მოსახლეობიდან შემოსული წინადადებების გათვალისწინებით, შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება

როგორც ზემოთ აღინიშნა, მუნიციპალური ბიუჯეტის მონიტორინგის მასალები, ფოკუს-ჯგუფების ანგარიშები, მოსახლეობისგან შემოსული გამოხმაურებები,

წინადადებები და რეკომენდაციები, დეტალურად და ყურადღებით უნდა იქნეს განხილული გენდერული საბჭოს მიერ. ამ განხილვის ამოცანაა ბიუჯეტის გენდერული ასპექტების შესახებ მსჯელობა, დისკუსიის გამართვა მოსახლეობისგან შემოსული დამატებითი საჭიროებების, წინადადებების, სხდომაზე წამოჭრილი სხვა საკითხების ირგვლივ.

სხდომაზე მონაწილეობის მისაღებად მოიწვევენ და მოუსმენენ მოსახლეობისგან შემოსული დამატებითი წინადადებების ავტორებს, მედიის წარმომადგენლებს. გენდერული საბჭო ძირითად საკითხებზე მსჯელობისა და დისკუსიის შემდეგ, თვითონ შეაფასებს ბიუჯეტის გენდერულობას, დახვეწს რეკომენდაციებს, შემდგომი რეაგირებისთვის გადასცემს თვითმმართველობის ორივე შტოს - საკრებულოსა და მერიას /გამგეობას, მათ კომპეტენტურ სამსახურებს, ყველა დონის დეპუტატებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს. გენდერული საბჭოს მიერ განხილული ბიუჯეტის მონიტორინგის მასალები ისევ გამოქვეყნდება მასმედიის საშუალებით, მათ გადაეცემათ გენდერული საბჭოს მიერ მომზადებული პრეს-რელიზები. ეს საშუალებას მისცემს ყველას, ვისაც ამის სურვილი ექნება, თავისი წვლილი შეიტანოს იმაში, რომ მუნიციპალური ბიუჯეტი უფრო მეტად გენდერული გახდეს.

გენდერული საბჭოს მუშაობა მოცემულ საკითხებზე, რა თქმა უნდა, ამით არ მთავრდება: მან თვალყური უნდა მიადევნოს ამ რეკომენდაციების სხვადასხვა დონეზე განხილვას /გაცნობიერებას, ბიუჯეტის შედგენის არსებული პრაქტიკის ტრანსფორმაციას / სრულყოფას, ბიუჯეტში გენდერული ასპექტების მკაფიოდ ასახვის მიღწევას და მათ რეალიზებას.

ბიუჯეტის გენდერული ანალიზის დროს ევროპის ქვეყნებში გამოიყენება გენდერულად მგრძნობიარე ინდიკატორები, მათ შორისაა:

- დედების სიკვდილიანობა 10 000 დაბადებულზე;
- ბავშვთა სიკვდილიანობა 10 000 დაბადებულზე;
- 5 წლამდე ბავშვთა სიკვდილიანობა 10 000 დაბადებულზე.

საქართველოში ამას უნდა დაემატოს აბორტების რაოდენობა. ამ კუთხით არსებული მდგომარეობის ანალიზი, მათი რაოდენობის შემცირებისთვის გაწეული ხარჯები იქნება გენდერულად უფრო მეტად მგრძნობიარე ბიუჯეტის მაჩვენებელი და ეს ქვეყანაში არსებული სავალალო დემოგრაფიული სიტუაციის გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს.

საინტერესოა სუფთა წყლით და სანიტარული გაყვანილობებით მოსახლეობის უზრუნველყოფის ინდექსები. ეს ინდიკატორები პირდაპირ კავშირშია ჯანდაცვის პროგრამებთან.

ევროპაში ერთ-ერთ ძირითად კომპლექსურ ინდიკატორად გამოიყენება გენდერული თანასწორობის ინდექსი. იგი გამოხატავს ქალის და კაცის მდგომარეობას სამი კრიტერიუმის მიხედვით: ეკონომიკური აქტივობა, განათლება და ძალაუფლება. ინდექსის ძირითადი მაჩვენებელია - 100.

2007 წლის მონაცემებით ეს ინდექსი შვედეთში იყო 89; ესპანეთში - 77; ყირგიზეთში - 57, ხოლო საქართველოში 65-ის ტოლი იყო (ამ ინდიკატორს დავუბრუნდებით მე-7 თავში).

ბიუჯეტის გენდერული მგრძნობიარობის ერთ-ერთი საგულისხმო ინდიკატორია, ასევე, ქალის და კაცის მიერ გამომუშავებული შემოსავლების თანაფარდობა. საგადასახადო სამსახურებისგან აღებული ბოლო წლების მონაცემების მიხედვით გაანგარიშებული ინდიკატორები გვიჩვენებს ამ საკითხში ქალაქში არსებული პრობლემის სიდიდეს

(სიმწვავეს) და მის გადასაჭრელად თვითმმართველობების მიერ გადადგმული ნაბიჯების ადეკვატურობას. ეს ინდიკატორი შვედეთში არის 0.84 (ეს მაჩვენებელი ევროპის ქვეყნებში ყველაზე მაღალია); აზერბაიჯანში - 0.66, ხოლო საქართველოში - 0,33-ის ტოლია (ყველაზე დაბალი).

ამ ინდიკატორებით სარგებლობა მუნიციპალური ბიუჯეტების გენდერულობის შესამოწმებლად საქართველოშიც თავისუფლად არის შესაძლებელი (განხილულია მეთოდოლოგიის მე-7 თავში).

6. მასმედიისა და საზოგადოების პერიოდული ინფორმირება მუნიციპალური ბიუჯეტის გენდერული ანალიზის და შეფასების შედეგების შესახებ

მოცემული აქტივობის ამოცანაა მუნიციპალური ბიუჯეტის მეტი გენდერული მგრძნობელობის მისაღწევად მიმდინარე მუშაობის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის დონის გაზრდა, აღნიშნულ საკითხებზე მათთან მუდმივი კომუნიკაციის და თანამშრომლობის რეჟიმის შენარჩუნება, მუშაობის პროცესში ადგილობრივი ხელისუფლების და მისი შესაბამისი სამსახურების აქტიური ჩართვა.

წამოჭრილი საკითხების გარშემო გენდერული საბჭოს მიერ შემუშავებული და თვითმმართველობის ორგანოებისთვის გადაცემული რეკომენდაციების რეალიზაციის თაობაზე მედიამ უნდა მოაწყოს თოქშოუები; გამოაქვეყნოს პასუხისმგებელი პირების ინტერვიუები, სადაც უნდა გაჟღერდეს პრობლემების გადაჭრის ვადები; ხელი შეუწყოს ადგილობრივი ხელისუფლების ორივე შტოს - მერიასა და საკრებულოს კონსტიტუციურ თანამშრომლობას მათი შესრულებისთვის; საჭიროების შემთხვევაში, ადგი-

ლობრივ და ცენტრალურ ბიუჯეტებს შორის სოციალური ფუნქციების გადანაწილებას, ამისათვის მუნიციპალიტეტის გააქტიურებას და ა.შ.

საკრებულოსთან არსებული გენდერული თანასწორობის საბჭოს და მასმედიის აქტიური თანამშრომლობა აუცილებელია. მხოლოდ მათი ერთობლივი, დაუღალავი შრომის შედეგად მიიღწევა ადგილობრივი ბიუჯეტის ეფექტურობა და ტრანსფარენტულობა, რესურსების განაწილებაში გენდერული თანასწორობის მაქსიმალური გათვალისწინება, სოციალური სამართლიანობის დამკვიდრება. ამ თანამშრომლობას აუცილებლად მოჰყვება რეალური შედეგები.

7. ადგილობრივ ბიუჯეტში საზოგადოების მიერ შემოთავაზებული, გენდერული ასპექტების ამსახველი რეკომენდაციების გათვალისწინების ლობირება გენდერული საბჭოს მიერ

ფოკუს-ჯგუფების ანგარიშების მედიასაშუალებების მეშვეობით გამოქვეყნებისა და მოსახლეობის ფართო ფენებში მისი განხილვის შედეგად სამოქალაქო სექტორის მიერ დამატებით მოწოდებული გენდერული ხასიათის პრობლემების, მათი გადაჭრის წინადადებებისა და რეკომენდაციების დეტალური განხილვა, არა უგვიანეს ერთი თვის ვადაში, საბჭოს წევრებისთვის წინასწარი გაცნობის შემდეგ, უნდა მოხდეს გენდერულ საბჭოზე, სადაც კიდევ ერთხელ იმსჯელებენ ამ რეკომენდაციების აქტუალობაზე, მათი განხორციელების შესაძლებლობებზე, საჭირო რესურსების არსებობაზე, მისცემენ

მას საბოლოო ფორმას და მიიღებენ გადაწყვეტილებას ამ რეკომენდაციების საკრებულოსა და მასმედიისთვის გადაცემის თაობაზე.

გენდერული საბჭოს წევრი საკრებულოს დეპუტატები გაუწევენ ადვოკატირებას და ლობირებას, რომ მუნიციპალური ბიუჯეტების ფორმირების, განხილვისა და დამტკიცების პროცესში ეს რეკომენდაციები მაქსიმალურად იქნას გათვალისწინებული.

შემდგომ, გენდერული საბჭოს მორიგ სხდომებზე, მის წევრებს, რეკომენდაციების შემუშავების მონაწილე სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს, მოსახლეობას უნდა მიეწოდოს ინფორმაცია თვითმმართველობის ორგანოებში მათი განხილვის მიმდინარეობის თაობაზე. ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ კი, გენდერული საბჭოს წევრებს და საზოგადოებას, მედიას, ყველა დაინტერესებულ პირს პერიოდულად მიეწოდება ინფორმაცია გენდერული ბიუჯეტის იმპლემენტაციის შესახებ, იმ რეალური ცვლილებების თაობაზე, რომლებიც მოჰყვება ჩატარებულ საქმიანობას.

გენდერული საბჭო დააკვირდება გენდერული განვითარების დინამიკას და პერიოდულად შეაფასებს (გაზომავს) მას გენდერულად მგრძნობიარე ინდიკატორების გამოყენებით. გენდერულმა საბჭომ შეიძლება, ისარგებლოს ინდიკატორების 2 ჯგუფით:

ჯგუფი I: გენდერული თანასწორობის ინდექსი (მისი მაქსიმალური დონეა 100%, ხოლო მინიმალური - 1%). ეს მაჩვენებელი კომპლექსურია და იანგარიშება გენდერული მგრძნობიარობის სამი მაჩვენებლის მიხედვით:

- **ქალის და კაცის ეკონომიკური აქტიურობის შედარებითი მაჩვენებლით** - ის წარმოადგენს ქალაქში ან რაიონში ქალების და კაცების მიერ გამომუშავებული შემოსავლების (წლის განმავლობაში გაცემული ხელფასების და ბიზნესში მიღებული ფულადი სარგებლის, მოგების და ანაზღაურების) თანაფარდობას **(იხ. თანდართული ანალიტიკური ცხრილი და მონაცემების ანალიზი);**
- **გენდერული განათლების რეიტინგით** - ის წარმოადგენს ქალების და კაცების პროფესიული განათლების (მიღებულს ქალების და კაცების მიერ) თანაფარდობას;
- **ქალაქში, რაიონში და ქვეყანაში ქალის გენდერული ძალაუფლების ინდექსი** - ის წარმოადგენს გადაწყვეტილების მიმღებ სხვადასხვა დონის ორგანოებში, სახელმწიფო და კერძო სექტორის მაღალ თანამდებობებზე ქალის მოღვაწეობის პროცენტულ მაჩვენებელს.

ჯგუფი II: სოციალური სფეროს გენდერულად მგრძნობიარე ინდიკატორები - ეს არის ბავშვების და დედების სიკვდილიანობა (10 000 დაბადებულზე) და შედგება სამი მაჩვენებლისგან:

1. ბავშვთა სიკვდილიანობა 10 000 დაბადებულზე;
2. დედების სიკვდილიანობა 10 000 დაბადებულზე;
3. 5 წლამდე ბავშვების სიკვდილიანობა 10 000 დაბადებულზე.

იანგარიშება აბსოლუტური მაჩვენებლები. მაგალითისთვის, უკომენტაროდ, მოყვანილია ჯანდაცვის მსოფლიო

ორგანიზაციის ჯამური მონაცემებით (სიკვდილიანობის ფაქტების შეჯამებით) მიღებული ციფრები: შვედეთში - 9; რუსეთში - 99; ყაზახეთში - 346; საქართველოში - 130; სომხეთში - 66.

ქალაქში არსებული მდგომარეობის ანალიზისთვის შესაძლებელია ერთ სულ მოსახლეზე წყლის, გაზის, ელექტროენერგიის მოხმარებისა და მისთვის საინტერესო სხვა მაჩვენებლების გამოყენება. მონაცემების მოპოვება და ანალიზი მარტივია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მუნიციპალური ბიუჯეტის ფორმირებისას მიზანშეწონილია, ამ ინდიკატორების გამოყენებით, ბოლო სამი წლის მონაცემების გაანალიზება, დინამიკისა და ტენდენციის გარკვევა, ხოლო სამომავლო გეგმებით კი მათი გაუმჯობესების და პრობლემების ეტაპობრივი გადაჭრისთვის აუცილებელი ქმედებების (აქტივობების) გათვალისწინება. მაშინ ადგილობრივი ბიუჯეტი ნამდვილად იქნება გენდერულად მგრძნობიარე, რასაც ევროკავშირის ქვეყნები გასული საუკუნის 80-ანი წლებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ.

8. მაგალითის განხილვა: გენდერული ასპექტების ანალიზი ქ. ქუთაისის ეკონომიკის სფეროში

განვიხილოთ ერთი მაგალითი (*იხილეთ ანალიტიკური ცხრილი*), რომელშიც კარგადაა გამოხატული ქუთაისში კაცების და ქალების ეკონომიკური აქტივობა და ზოგიერთი გენდერულად მგრძნობიარე ასპექტი.

უპირველესად, კარგად უნდა გავეცნოთ ანალიტიკურ ცხრილს.

ანალიტიკური ცხრილი

ამ ცხრილში 2012-2014წწ. ქუთაისის ეკონომიკის სფეროში დასაქმებული ქალების და კაცების მიერ ბიუჯეტში გადახდილი საშემოსავლო გადასახდების მეშვეობით ასახულია გენდერული ასპექტები (მოგეხსენებათ, დასაქმებულებისგან დაკავებული საშემოსავლო გადასახდები გაცემული ანაზღაურების, ან მიღებული შემოსავლების პირდაპირპროპორციულია და მის 1/5-ს, ანუ 20%-ს შეადგენს)

№	გადასახადების სახეობა	წლები	კაცები		ქალები		თანხა საშუალოდ 1 ადამიანზე		შემოსავლების პროცენტული თანაფარდობა		გადამზიდველების რაოდენობის თანაფარდობა, %		კომენტარი
			რაოდენობა	თანხა, ლარი	რაოდენობა	თანხა, ლარი	კაცი	ქალი	კც / ქლ	კც / ქლ	კც / ქლ	კც / ქლ	
1	დამქირავებლია მიერ დაკავებული საშემოსავლო გადასახადები არასაბიუჯეტო სექტორიდან (I სექტორი)	2012	3091	613504	2011	198161	198,5	98,5	202,0%	49,6%	153,7%	65,1%	ქალების შემოსავლები 2-ჯერ ნაკლებია, ვიდრე კაცების
		2013	2718	498280	1842	200787	183,3	109	168,2%	59,5%	147,6%	67,8%	
		2014	2516	405792	1833	187414	161,3	102,2	157,8%	63,4%	137,3%	72,8%	აქ კი, 1,5-ჯერ ნაკლებია
	3.1. სულ	3 წელი	**8325**	**1517576**	**5686**	**586362**	**182,3**	**103,2**	**საშუალო: 176,0%**	**57,5%**	**146,2%**	**68,6%**	
	%, 2014/2012 თან	-	**81,4%**	**66,1%**	**91,1%**	**94,6%**	**81,3%**	**103,6%**	**78,1%**	**127,8%**	**89,3%**	**111,8%**	
2	საშემოსავლო გადასახადი ფიზიკურ პირთა (ინდმენარმეთა) საქმიანობით მიღებული შემოსავლებიდან (II სექტორი)	2012	16935	4183006	9772	2038692	247	208	116,8%	84,2%	173,3%	57,7%	აქ ქალების დამოუკიდებლობა მეტია, ამიტომ განსხვავებულობაც ნაკლებია.
		2013	17879	4859792	11174	2448790	271,8	219,2	126,8%	80,6%	160,0%	62,5%	
		2014	17473	4682333	11438	2514702	268,5	219,9	122,4%	82,1%	152,8%	65,5%	
	3.2. სულ	3 წელი	**52287**	**13725131**	**32384**	**7002184**	**262,5**	**216,2**	**122,0**	**82,4%**	**162,0%**	**61,9%**	
	%, 2014/2012 თან	-	**103,2%**	**111,9%**	**117,1%**	**123,3%**	**108,7%**	**105,7%**	**104,8%**	**97,5%**	**88,2%**	**113,5%**	

P.S. ყველაზე მგრძნობიარე გენდერულ ასპექტებს გვიჩვენებენ ეკონომიკის სფეროში დასაქმებული ქალებისა და კაცების შემოსავლების თანაფარდობები და რაოდენობრივი მაჩვენებლები.

მოცემულ ანალიტიკურ ცხრილში სისტემატიზებულია საქართველოს საგადასახო სამსახურის მიერ ქ. ქუთაისზე მოწოდებული ინფორმაცია. იგი კაცების და ქალების მიერ ბოლო 3 წლის განმავლობაში გადახდილ საშემოსავლო გადასახდებს ეხება. ეს ცხრილი ბევრ საინტერესო გენდერულ ასპექტს გვიჩვენებს, კერძოდ:

ა) ქ. ქუთაისში ეკონომიკური საქმიანობის სფეროში სახელმწიფო აღრიცხვაში მოხვედრილ ადამიანებს შორის გამოიკვეთა, რომ ბოლო სამი წლის განმავლობაში ქალების აქტიურობა მზარდია. 2012 წელთან შედარებით, არასაბიუჯეტო ორგანიზაციებში მომუშავე დაქირავებული ქალების საშუალო ანაზღაურებამ 2013-2014 წლებში შეადგინა 107,2%, ანუ ეს მაჩვენებელი 7%-ით არის გაზრდილი.

ბ) ამავე პერიოდში ბიზნეს სექტორში დამოუკიდებლად მომუშავე ქალების საშუალო შემოსავლების ზრდა კი 5,7%-ს შეადგენს. მართალია, ის ზემოთ მოყვანილ მაჩვენებელთან შედარებით ოდნავ ნაკლებია, მაგრამ, სამაგიეროდ, ანაზღაურებების აბსოლუტური მაჩვენებელი 2-ჯერ მეტია იმაზე, ვიდრე დაქირავებულ სექტორში მომუშავე ქალბატონები ღებულობენ (იხ. ცხრილი).

რა ხდება მამაკაცების შემთხვევაში: იგივე მაჩვენებელი მამაკაცებში, შესაბამისად, ასეთია: არასაბიუჯეტო სექტორში დაქირავებული მამაკაცების ანაზღაურებამ 2014 წელს, 2012-თან შედარებით, იკლო თითქმის 20%-ით, მაშინ, როცა ბიზნეს-სექტორში კაცების, როგორც ფიზიკური პირების შემოსავლებმა 8,7%-ით იმატა. ზრდა უმ-

ნიშვნელოა და მხოლოდ 3 პროცენტული პუნქტით მეტია ქალებთან შედარებით. ამავე დროს, თუ კაცების შემოსავლების რაოდენობა არასაბიუჯეტო სექტორში დაქირავებული ქალების ანაზღაურებაზე თითქმის 2-ჯერ მეტია, ბიზნეს-სექტორში განსხვავება ნაკლებია. კაცების შემოსავლები აქ 21%-ით აღემატება ქალების შემოსავლებს (ეს დასკვნა გაკეთებულია საშემოსავლო გადასახდების შესახებ მიღებული ინფორმაციიდან).

ბიზნეს-სექტორში ქალების და კაცების შემოსავლების შეფარდება წლების მიხედვით თითქმის არ იცვლება. არასაბიუჯეტო სექტორში დაქირავებული კაცებისა და ქალების ანაზღაურებაში ამ შეფარდებას გაუმჯობესების ტენდენცია აქვს და ის 2014 წელს, 2012-თან შედარებით, 27%-ით გაზრდილია.

გ) გენდერულად განსაკუთრებით მგრძნობიარე მაჩვენებელია ის, რომ ორივე სექტორში დასაქმებული კაცების რაოდენობა 1,6-ჯერ მეტია, ვიდრე ქალებისა. ამავდროულად, აღსანიშნავია ისიც, რომ ბოლო წლების განმავლობაში სიტუაცია უკეთესობისკენ იცვლება, დასაქმებული ქალების რაოდენობა იზრდება და განსხვავებულობა ნელ-ნელა მცირდება (იხ. ცხრილი).

დასკვნა:

- გამოჩნდა, რომ მოცემულ სექტორებში **გენდერული ასპექტები** არც ადგილობრივ დონეზე და არც ცენტრიდან არ იმართება. აშკარად შეიმჩნევა, რომ გენდერული პროცესები თვითდინებაზეა მიშვებული და შედეგებს მხოლოდ თავისუფალი ბაზარი და დღემდე შემორჩენილი სტერეოტიპები განსაზღვრავენ, თავისი პლუსებით და მინუსებით.

რეკომენდაციები:

- როგორც არასაბიუჯეტო სექტორში დასაქმებული ქალების და კაცების შემოსავლების შესახებ არსებული მონაცემები გვიჩვენებს, გენდერული ასპექტები უფრო გამოკვეთილად უნდა დაარეგულიროს შრომითმა კანონმდებლობამ. საჭიროა ადგილობრივ დონეზე ამ კანონმდებლობის იმპლემენტაციის პერიოდული მონიტორინგი.

- გენდერულმა საბჭომ ამ საკითხების და ასევე, კანონმდებლობაში სათანადო ცვლილებების განხორციელების ადვოკატირება უნდა გააძლიეროს.

შენიშვნა:

სამწუხაროდ, ვერ მივიღეთ მონაცემები მშობიარობის დროს დედებისა და ბავშვების სიკვდილიანობის შესახებ. ასევე, განსაზღვრულ დროში ვერ იქნა მოპოვებული სხვა

მონაცემები, რამაც ფონდ „სოხუმს“ არ მისცა საშუალება, კონკრეტულ მონაცემებზე დაყრდნობით და ამ მეთოდოლოგიით გამოეყვანა ქუთაისში **გენდერული თანასწორობის ინდექსი.**

მეთოდური სახელმძღვანელო შეადგინა - ალუ გამახარია

მეთოდური სახელმძღვანელო გამოიცა UN Woman ფინანსური მხარდაჭერით, პროექტის - „გენდერული საკონსულტაციო საბჭოები - ქალთა როლის ამაღლება სოციალური ცვლილებებისათვის რეგიონებში“ ფარგლებში

პროექტის დირექტორი - ალლა გამახარია

პროექტის კოორდინატორი - მერი გელაშვილი

რედაქტორი - ემა კამკია

დიზაინი - ლია კოსტავა

მისამართი:
ქ. ქუთაისი, მგალობლიშვილის 6
ტელ: 27 29 02 ფაქსი: 27 13 68
ელფოსტა: womansukhumi@gmail.com
ვებგვერდი: www.fsokhumi.ge

FUND "SUKHUMI"